

დებიუტანტის “ჰეთ–თრიკი”

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 1 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – “ზარია” (ვოროშილოვგრადი) 3:0 (2:0).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, ვ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყოფიანი, ჩელებაძე.

“ზარია”: ტკაჩენკო, პინჩუკი, მალიგინი, აბრამოვი, რაბოჩი, ჟურავლიოვი, კუზნეცოვი, სემოიონოვი, ვ. მალი (ბელოუსოვი), კუკსოვი, ანდრეევი (სტულჩინი).

მსაჯი: ვ. რუდნევი (მოსკოვი).

რთულ პრობლემებს და მძიმე ბრძოლას ამ მატჩში, გულახდილად რომ ვთქვათ, არ მოველოდი, “ზარია” ახლა უმაღლესი ლიგის ერთ–ერთი უიმედო აუტსაიდერია, ძალიან ცუდი მაჩვენებლები აქვს (რად ღირს თუნდა ის, რომ 9 თამაშში გუნდმა სულ 4 ბურთის გატანა შეძლო) და ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ იგი რალურ საშიშროებას შეუქმნიდა აღმავლობის გზაზე მყოფ თბილისის “დინამოს”. მაგრამ სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვოროშილოვგრადელებმა ფაქტიურად ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მასპინძლებს, თავიდანვე დათმეს თამაში და მატჩის ინტერესი დავიდა იმ დონემდე, თუ რა ანგარიშით შეძლებდნენ დინამოელები გამარჯვებას მეტოქესთან, რომელიც წინა წლებში სწორედ შეუპოვრობით და მებრძოლის მაღალი თვისებებით გამოირჩეოდა.

მაგრამ “ზარიას” ეს ინერტულობა და უნებისყოფობა მართო გუნდის ახლანდელი მდგომარეობით არ უნდა აიხსნას. აქ დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ დინამოელებმა მოპირდაპირე მხარეს არ დაუტოვეს მატჩის ხსნის არავითარი იმედი და ეს გააკეთეს დასაწყისშივე, პირველი წუთებიდან, როცა თამაშის კონტურები მხოლოდ ჩანასახის ფორმაშია წარმოდგენილი. სხვა შემთხვევებში ჩვენ ბევრჯერ ვყოფილვართ იმის მოწმე, რომ თბილისელები მხოლოდ თამაშის მსვლელობაში, უფრო ხშირად მეორე ტაიმში ავლენენ თავიანთს უპირატესობას. ამჯერად კი სწორედ დებიუტში გადაწყდა ყველა საკვანძო საკითხი...

ცალკეულ მოთამაშეთა აღნიშვნა ჩვენს გუნდში ზედმეტად მიმაჩნია, მაგრამ მსურს საგანგებოდ გავუსვა ხაზი ჩელებაძის დიდ წარმატებას. ამ ფეხბურთელის მთავარი ღირსებაა გოლების გატანის უნარი, სწორედ ამ მონაცემისთვის იქნა იგი წლეულს მიწვეული კოლექტივში და დებიუტანტმა ამჯერად სრულად გამოავლინა თავისი ღირსებები – 3 ბურთი გაიტანა “ზარიას” კარში. ეს “ჰეთ–თრიკი” ჯერჯერობით ერთადერთია მიმდინარე ჩემპიონატში.

ჩელებაძემ გოლები ასე გაიტანა: მე–10 წუთზე მან დროზე მიუსწრო ჩივაძის დარტყმის შემდეგ უკუგდებულ ბურთს, მერე, 33–ე წუთზე, კვლავ იქ აღოჩნდა, სადაც ტკაჩენკომ მოიგერია იმავე ჩივაძის დარტყმა, 71–ე წუთზე კი გუცაევის ზუსტ გადაცემას იგი სრულიად ღია პოზიციაში დახვდა.

დარწმუნებული ვარ, ანგარიში, მეტიც იქნებოდა, დინამოელებს თავი რომ გამოედოთ და სრული მონდომებით, მაქსიმალური ძალით ეთამაშათ, მაგრამ საამისო საჭიროება არ იყო.

მატჩის დასასრულს კურიოზული ამბავი მოხდა: თბილისელთა საჯარიმო მოედანზე ძოძუაშვილისა და რაბოჩის შეტაკებისას ამ უკანასკნელმა წონასწორობა დაკარგა და

დემონსტრაციულად წაიქცა. ვ. რუდნევი ეს საკმარისად ჩათვალა პენალტისთვის და 11-მეტრიანი საჯარიმოს წერტილზე მიუთითა. ვოროშილოვგრადელებმა ბურთის დასარტყმელად თავიანთ მეკარე ტკაჩენკოს მოუხმეს. იგი ჯერ ყოყმანობდა, შემდეგ გადაწყვიტა დაერტყა და ბურთი კარს ააცდინა.

რახან სიტყვა მსაჯზე ჩამოვარდა, მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ვ. რუდნევი სათანადო სიმალლეზე არ იდგა. შეხვედრა მან ჩაატარა ბევრი შეცდომით, დაურწმუნებლად. ასეთი მსაჯობა არავითარ შემთხვევაში არ შეეფერება საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდებას.

კ. ყრუაშვილი, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ოსტატთა გუნდების განყოფილების უფროსი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

“ლელო”, 3 ივნისი, 1976 წ.